



აკადემიური საბჭოს  
დადგენილება № 06-01/94

ბსუ-ს „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე  
სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნების  
შესრულების (დანერგვის) სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 ივლისის №06-01/54 დადგენილების, სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების (2023 წლის 16 ნოემბრის NMES 8 23 0001562617), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმის ამონაწერის (№27-05/10, 26.09.2024) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურებრივი ბარათის (MES 6 24 0001357838, 21.10.2024) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

- სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დამტკიცდეს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლების მოთხოვნების შესრულების (დანერგვის) სტრატეგიული გეგმა, წინამდებარე დადგენილების N1 დანართის შესაბამისად.
- დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
- დადგენილება დაეფუძვნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს შესაბამის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო და შესაბამის საფაკულტეტო სამსახურებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
- დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
- დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,  
პროფესორი

მერაბ ხალვაში

„ბსუ-ს „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შესრულების (დანერგვის) სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ“  
 ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის №06-01/94 დადგენილების

დანართი 1.

„ბსუ-ს „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის (16.11.2023წ. NMES 8 23 0001562617) დანერგვის სტრატეგიული გეგმა

| რეკომენდაცია  | დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ვადა | ბსუ-ს მიერ განხორციელების ვადა | არსებული გამოცდილება | განსახორციელებელი ცვლილება | დამადასტურებელი | პასუხისმგებელი პირი |
|---|--|--------------------------------|----------------------|----------------------------|-----------------|---------------------|
| 2.5 საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების განსაკუთრებული პირობები<br>(ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) |  |                                |                      |                            |                 |                     |

|  |   |                      |   |   |                                     |   |
|--|---|----------------------|---|---|-------------------------------------|---|
| <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დიპლომირებული სტომატოლოგის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონდებლობით დადგენილი წესით აბიტურიენტის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:</p> | <p>აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდეს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან 1 წლის შემდეგ</p> | <p>2023-2024 ს/წ</p> | <p>აკადემიური საბჭოს დადგენილება N-111, 08.10.2015 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“<br/> მუხლი 7. ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე ბსუ-ში ჩარიცხვა და სასწავლო პროცესი<br/> <a href="https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_4958_1.pdf">https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_4958_1.pdf</a></p> <p>ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის №06-01/99 დადგენილება „ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესი“ (N99 დადგენილების N1 დანართი)<br/> კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესი“<br/> <a href="https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_20203_1.pdf">https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_20203_1.pdf</a></p> | <p>ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის №06-01/99 დადგენილებით დამტკიცებულ „ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტების კანდიდატების/სტუდენტების ბსუ-ში ჩარიცხვის წესი“ (N99 დადგენილების N1 დანართი) შეტანილი იქნება ცვლილებები „სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის“ მოთხოვნების გათვალისწინებით (მათ შორის პირველ და მე-5 მუხლებში)<br/> ასევე ცვლილება დამატება შეტანილი იქნება ბსუ-ს რექტორის</p> | <p>დანართი 1.</p> <p>დანართი 2.</p> | <p>პროგრამის ხელმძღვანელი;<br/> ფაკულტეტის ხარისხი; დეკანი.</p> |
|--|---|----------------------|---|---|-------------------------------------|---|

|   |   |                                       |  |   |                        |                                |
|---|---|---------------------------------------|--|---|------------------------|--------------------------------|
| <p>უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, უცხო ენის ცოდნის დონის დასადგენად ორგანიზებული გამოცდის შედეგად დადასტურებული, <b>უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა.</b></p> <p>ან</p> <p>უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე <b>მინიმუმ B1 დონის დამადასტურებელი</b> საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ქონა</p> <p>ან</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) წარმოდგენისას და ასევე საქართველოს მოქალაქისთვის, რომელმაც უცხო ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) რომლითაც დასტურდება <b>საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ენის არანაკლებ B1 დონეზე ფლობა</b></p> |   |                                       |  | <p>2023 წლის 07 ნოემბრის N01-02/205 ბრძანებით დამტკიცებულ „ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხვის მსურველი პირის პროგრამის ენის ფლობის დადასტურების წესში“ და გათვალისწინებული იქნება სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნები.</p> |                        |                                |
| <p>რეკომენდაცია</p>   | <p>დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ვადა</p> | <p>ბსუ-ს მიერ განხორციელების ვადა</p> | <p>არსებული გამოცდილება</p>  | <p>გასახორციელებელი ცვლილება</p>  | <p>დამადასტურებელი</p> | <p>პასუხიშეგები პირი</p>       |
| <p><b>IV. სწავლება, სწავლა და შეფასება</b></p>  |   |                                       |  |   |                        |                                |
| <p>სწავლისა და სწავლების კლასიკური მეთოდების - ლექციებისა და სემინარების გარდა, მიზანშეწონილია სწავლისა და სწავლების შემდეგი თანამედროვე მეთოდების გამოყენება:</p>  |   |                                       | <p>ბსუ-ს აქვს სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი;<br/> <a href="https://bsu.edu.ge/sub-11/page/3-91/index.html">https://bsu.edu.ge/sub-11/page/3-91/index.html</a></p> | <p><b>ტრენინგის ორგანიზება</b> - სტომატოლოგიის მიმართულებით სწავლა-სწავლების სხვადასხვა მეთოდებზე.</p>  | <p>დანართი 3.</p>      | <p>პროგრამის ხელმძღვანელი;</p> |

|  |                    |                 |   |  |  |                                    |
|--|--------------------|-----------------|---|--|--|------------------------------------|
| <p>პრობლემაზე და კლინიკური შემთხვევის განხილვაზე დაფუძნებული სწავლება- (შესაბამისად, <b>PBL-Problem-Based Learning და CBL-Case-Based Learning</b>);</p> <p>„საგარძელთან სწავლება“ და „საწოლთან სწავლება“ (ChT- <i>Chairside Teaching</i> და BT - <i>Bedside Teaching</i>);</p> <p>ექიმი-პაციენტის როლების შესრულება/იმიტაცია/ ე.წ. როლური თამაში; „ღია წიგნის / გადაშლილი წიგნის, წიგნში ჩახედვის/ მეთოდი“;</p> <p>“შებრუნებული კლასის“ მეთოდით (FC- <i>Flipped Classroom</i>);</p> <p>სტუდენტთა დიდ ჯგუფებთან მუშაობის დროს მიზანშეწონილია „ჯგუფური სწავლება“ (<i>TBL-Team Based Learning</i>);</p> <p>სწავლების კლინიკურ ეტაპზე, განსაკუთრებით დამამთავრებელ წელს, რეკომენდებულია კლინიკურ გარემოში სწავლების ახალი მეთოდოლოგია - <b>EPA (Entrustable Professional Activities)</b>, მინდობილი პროფესიული აქტივობა.</p> | <p>2023 - 2024</p> | <p>2024 ს/წ</p> | <p>ბსუ-ს მიერ ჩატარებული ტრენინგები სწავლა-სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით</p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით ბსუ-ს 2023-2024 წლების პროგრამულ ბიუჯეტებში გათვალისწინებულია ქვეპროგრამა, რომლის საერთო ასიგნება არის 938 436 ლარი, აღნიშნულიდან პერსონალის ტრენინგებისთვის გამოყოფილია 100 000 ლარი</p> | <p>“შებრუნებული“ ლექცია/მეცადიენობა (<b>Flipped Classroom</b>) და EPAs (Entrustable Professional Activities) – მინდობილი პროფესიული აქტივობა <b>DOPS-Direct Observation of Procedural Skills</b> - პირდაპირი დაკვირვება პროცედურების შესრულებაზე <b>Mini-CEX</b> - <i>Mini Clinical Evaluation Exercise</i> - მინი-კლინიკური სავარჯიშოს შეფასება <b>MSF</b> - <i>Multi-source feedback</i>, ე.წ. 360° შეფასება</p> |  | <p>ფაკულტეტის ხარისხი; დეკანი.</p> |
| <p><b>პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასება</b> გულისხმობს არამხოლოდ თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარ-ჩვევების და პროფესიონალიზმის შეფასებასაც. შეფასების თანამედროვე მეთოდებიდან, გარდა ტრადიციული წერითი, ზეპირი, ტესტური და კომბინირებული გამოცდებისა, რეკომენდებულია:</p> <p><b>OSCE (Objective Structured Clinical examination)</b>- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა</p> <p><b>OSPE (Objective Structured Practical Examination)</b>- ობიექტურად სტრუქტურირებული პრაქტიკული გამოცდა</p> <p><b>WPBA (Work Place Based Assessment)</b> - შეფასება სამუშაო (კლინიკურ) გარემოში.</p>  |                    |                 |   |  |  |                                    |

|   |  |  |  |  |  |  |
|---|--|--|--|--|--|--|
| <p>WPBA სტუდენტის შეფასების რამდენიმე მეთოდის ერთობლიობაა. ეს მეთოდებია:</p> <p><i>DOPS-Direct Observation of Procedural Skills</i> - პირდაპირი დაკვირვება პროცედურების შესრულებაზე</p> <p><i>Mini-CEX</i> - Mini Clinical Evaluation Exercise - მინი-კლინიკური სავარჯიშოს შეფასება</p> <p><i>CBD</i> - Case Based Discussion - შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსია</p> <p><i>MSF</i> - Multi-source feedback, ე.წ. 360<sup>o</sup> შეფასება</p> |  |  |  |  |  |  |
| <p><b>პროფესიონალიზმის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი მეთოდები:</b></p>  |  |  |  |  |  |  |
| <p><b>პორტფოლიო</b></p> <p>WPBA მეთოდები (<i>DOPS-Direct Observation of Procedural Skills</i> - პირდაპირი დაკვირვება პროცედურების შესრულებაზე</p> <p><i>Mini-CEX</i> - Mini Clinical Evaluation Exercise - მინი-კლინიკური სავარჯიშოს შეფასება)</p> <p><b>P-MEX</b> – Professionalism Mini-Evaluation Exercise (ფასდება პაციენტთან კომუნიკაციის უნარი, ემპათია, დროის მენეჯმენტი, ინტერპროფესიული ურთიერთობა, პუნქტუალობა).</p>                |  |  |  |  |  |  |

## VI. დამატებითი ინფორმაცია

### 6.1. მოთხოვნები ადამიანური რესურსისადმი

| რეკომენდაცია   | დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ვადა | ბსუ-ს მიერ განხორციელების ვადა | არსებული გამოცდილება  | განსახორციელებელი ცვლილება            | დამადასტურებელი | პასუხიშეგებული პირი                   |
|--|--|--------------------------------|---|---------------------------------------|-----------------|---------------------------------------|
| <p><b>სტომატოლოგიური განათლების მეთოდოლოგია:</b></p> <p>დიპლომამდელი სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაში ჩა</p> |  |                                | <p>ბსუ ატარებს ტრენინგებს სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში</p> | <p>დამატებით ტრენინგების დაგეგმვა</p> |                 | <p>პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტე</p> |

|   |                    |                 |   |  |                  |                           |
|---|--------------------|-----------------|---|--|------------------|---------------------------|
| <p>რთული აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები/ლექტორები/მენტორები რეგულარულად (5 წელიწადში ერთხელ) უნდა გადიოდნენ ტრენინგებს, დადასტურებულს შესაბამისი სერტიფიკატით. (სწავლის მეთოდები/შეფასების მეთოდები (PBL, DOPS, mini CEX, OSCE, 360, Portfolio) გად აუდებელი დახმარება, ინფექციის კონტროლი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული სტომატოლოგია, სპეციალური საჭიროების სტომ ატოლოგია და სხვ.)</p>            | <p>2023 - 2024</p> | <p>2024 ს/წ</p> | <p>ტრენინგი თემაზე „პრობლემაზე და კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდები სამედიცინო განათლებაში“-PBL, CBL <a href="https://bsu.edu.ge/sub11/page/12820/index.html">https://bsu.edu.ge/sub11/page/12820/index.html</a></p> <p>ტრენინგი თემაზე „სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების - OSCE (ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა) - ერთ-ერთი მთავარი შემფასებელი კლინიკური სწავლებისას“.</p> <p><a href="https://bsu.edu.ge/sub11/page/12860/index.html?fbclid=IwAR35y5VsRgo7yNZtyqyNX5fyP_SLj7WsTo_6aXTn2iWMd35oLuqUUyUv8Q">https://bsu.edu.ge/sub11/page/12860/index.html?fbclid=IwAR35y5VsRgo7yNZtyqyNX5fyP_SLj7WsTo_6aXTn2iWMd35oLuqUUyUv8Q</a></p> <p>ტრენინგი თემაზე „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების თანამედროვე მეთოდი - PBL“ <a href="https://bsu.edu.ge/sub-11/page/12848/index.html">https://bsu.edu.ge/sub-11/page/12848/index.html</a></p> <p>ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარებისა და მხარდაჭერის მიზნით <b>ბსუ-ს 2023-2024 წლების პროგრამულ ბიუჯეტებში</b> გათვალისწინებულია ქვეპროგრამა, რომლის საერთო ასიგნება არის 938 436 ლარი, <b>აღნიშნულიდან პერსონალის ტრენინგებისთვის გამოყოფილია 100 000 ლარი</b></p> | <p>სამედიცინო განათლების მეთოდოლოგიაში</p> | <p>დანართი 4</p> | <p>ტის ხარისხი დეკანი</p> |
| <p><b>პერსონალის დატვირთვა:</b><br/>დაწესებულება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის <b>ყოველკვირეული დატვირთვის განსაზღვრისას</b> იყენებდეს დატვირთვის ეკვივალენტის (Full Time Equivalent FTE) მეთოდოლოგიას.</p> <p>✓ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისას განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობა უნდა ეფუძნებოდეს საგანმანათლებლო პროგრამი</p> |                    |                 | <p>დაწესებულება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის ყოველკვირეული დატვირთვის განსაზღვრისას <b>იყენებს</b> დატვირთვის ეკვივალენტის (Full Time Equivalent FTE) მეთოდოლოგიას.</p>  |  | <p>დანართი 5</p> |                           |

|  |  |                 |  |  |  |
|--|--|-----------------|--|--|--|
| <p>ს სპეციფიკას, დაწესებულების სასემინარო, ლაბორატორიული, პრაქტიკული და კლინიკური ბაზების რესურსებს, ასევე ადა მნიშვნელოვან რესურსის რაოდენობრივ მაჩვენებლს.</p>   |  |                 |  |  |  |
| <p><b>ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინები:</b></p> <p><b>მოთხოვნები:</b><br/>შესაბამისი სპეციალობის სერთიფიკატი; პედაგოგიური და კლინიკური გამოცდილება;</p> <p><b>პროფესორი-</b><br/>პედაგოგიური გამოცდილება სულ მცირე 6 წელი, კლინიკური- სულ მცირე 9 წელი;</p> <p><b>ასოცირებული პროფესორი-</b><br/>პედაგოგიური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი, კლინიკური- სულ მცირე ბოლო 5 წელი;</p> <p><b>ასისტენტ პროფესორს</b> კლინიკური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი;</p> <p><b>ასისტენტს-</b> დოქტორანტს კლინიკურ სპეციალობაში კლინიკური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი;</p> <p><b>მოწვეულ სპეციალისტს,</b> ლექტორს/მენტორს კლინიკური გამოცდილება სულ მცირე 3 წელი.</p> | <p>2023 - 2024</p>   | <p>2024 ს/წ</p> | <p>ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის N07-01/12 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „<b>ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესი</b>“-ს თანახმად,</p> <p>სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფუნდამენტური/ბიოსამედიცინო, პრეკლინიკური და კლინიკური დისციპლინების განმახორციელებელი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად დამატებით <b>უკვე განსაზღვრულია</b> საკვალიფიკაციო მოთხოვნები (საკონკურსო პირობები) და მითითებულია, რომ ამოქმედდება სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან (16.11.2023წ) <b>2.5 წლის შემდეგ</b>), რასაც ითვალისწინებს დარგობრივი მახასიათებელი.</p> |  |  |
| <p><b>სტომატოლოგიის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა:</b></p> <p>უცხოენოვანი პროგრამით სწავლების, სულ მცირე <b>3 წლის გამოცდილება</b> (რომელიც შეესაბამება პროგრამის სწავლების ენას) ან საზღვარგარეთ მოქმედ კლინიკაში პროგრამის სწავლების ენაზე საექიმო საქმიანობის განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში ან</p>   | <p>აღნიშნული მოთხოვნის შესრულება უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს დარგობრივი მახასიათებლის დამტკიცებიდან <b>2,5 წლის ვადაში</b>.</p> |                 | <p>ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 12 თებერვლის N07-01/12 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „<b>ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესში</b>“ შეტანილი <b>იქნება დამატება</b> „სტომატოლოგიის“ ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი პროგრამის (მისი ამოქმედების მიზნებისათვის) აკადემიური პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების სახით, რასაც</p>  |  |  |



|  |  |  |   |  |  |  |
|--|--|--|---|--|--|--|
| <p>საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით დაწესებულებაში ბიომედიცინის მიმართულებით სასწავლო/კვლევითი საქმიანობის პროგრამის სწავლების ენაზე განხორციელება არანაკლებ 1 წლის განმავლობაში</p> <p>ან</p> <p>პროგრამის სწავლების ენაზე დიპლომამდელი ან დიპლომის შემდგომი პროგრამის დასრულება, დადასტურებული დოკუმენტით</p> <p>ან</p> <p><b>პროგრამის სწავლების ენის სულ მცირე B2 დონის</b> ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატით</p> <p>ან</p> <p>საგნამანათლებლო დაწესებულების მიერ, შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით პროგრამის სწავლების ენის <b>B2 დონის</b> შესაბამისიში და საუნივერსიტეტო გამოცდის საფუძველზე ენის ცოდნის დადასტურება</p> |  |  | <p>ითვალისწინებს სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი სტომატოლოგიის უცხოენოვანი პროგრამის სასწავლო პროცესის განმახორციელებელი პერსონალთან მიმართებით.</p> |  |  |  |
|--|--|--|---|--|--|--|

6.2 მოთხოვნები მატერიალური რესურსისადმი

| რეკომენდაცია   | დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ვადა | ბსუ-ს მიერ განხორციელების ვადა | არსებული გამოცდილება  | განსახორციელებელი ცვლილება | დამადასტურებელი | პასუხი მგებელი პირი                              |
|--|--|--------------------------------|---|----------------------------|-----------------|--|
| <p><b>ფუნდამენტური დისციპლინები:</b></p> <p>სწავლების საწყის ეტაპზე ფუნდამენტური დისციპლინების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში და /ან აფილირებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.</p> <p>დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკუთარი, შესაბამისად აღჭურვილი სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია ფუნდამენტური</p> | 2023 - 2024                                | 2024 ს/წ                       | <p>სამედიცინო განათლებისა და მედიკოსთა პროფესიული განვითარების ცენტრი;</p> <p><a href="https://bsu.edu.ge/sub-11/page/3-91/index.html">https://bsu.edu.ge/sub-11/page/3-91/index.html</a></p> <p>დასავლეთ საქართველოს რეგიონული ქრომატოგრაფიული ცენტრი;</p> <p>იმუნოგენეტიკის ლაბორატორია;</p> <p>უჯრედული ბიოლოგიის ლაბორატორია;</p> |                            | დანართი 6       | პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის ხარისხი დეკანი |

|  |                    |                 |  |   |  |   |
|--|--------------------|-----------------|--|---|--|---|
| <p>და გამოყენებითი კვლევებისთვის, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებას და/ან განახორციელოს აღნიშნული სასწავლო საქმიანობა აფილირებულ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში (ხელშეკრულები ს საფუძველზე). ორივე შემთხვევაში ლაბორატორია შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყანაში დადგენილ ბიო- და შრომით უსაფრთხოების ნორმებთან. სასწავლო-კვლევით ლაბორატორიაში სასწავლო კურსის განმავლობაში სამუშაო სივრცე უნდა იყოს გათვლილი 10 სტუდენტზე ერთდროულად 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში უსაფრთხოების დადგენილი წესების დაცვით. უნდა არსებობდეს რესურსი და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის.</p> |                    |                 | <p>ბიოუსაფთხოების ლაბორატორია<br/> <a href="https://bsu.edu.ge/sub-11/page/3-91/index.html">https://bsu.edu.ge/sub-11/page/3-91/index.html</a></p> |   |  |   |
| <p><b>პრეკლინიკური დიცისპლინები:</b><br/> სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ სიმულაციურ ცენტრებში- საფანტომო კლასებში, მათ შორის აფილირებული სტომატოლოგიური და ზოგადი პათოლოგიის (ამბულატორული და სტაციონარული სერვისის) მომწოდებელ დაწესებულებებში (ხელშეკრულების საფუძველზე). აღნიშნული ცენტრები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, კურიკულუმის მოსალოდნელი შედეგებით (მანუალური უნარები/ კლინიკური კომპეტენციები) გათვალისწინებული სამედიცინო/სტომატოლოგიური მანიპულაციების ჩატარებისათვის აუცილებელი სიმულატორების, ფანტომების და მანეკენების რეკომენდებული ჩამონათვალით (დანართი #1)</p>   | <p>2023 - 2024</p> | <p>2024 ს/წ</p> | <p>თანდართული ფაილის სახით წარმოდგენილია განახლებული სიმულატორების, ფანტომების და მანეკენების შესახებ ინფორმაცია (დანართი 1.)</p>                  | <p>სიმულატორების, ფანტომების და მანეკენების განახლება</p> |  | <p>პროგრამის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანი</p> |

|   |  |  |  |   |  |  |
|---|--|--|--|---|--|--|
| <p><b>საუნივერსიტეტო/სასწავლო სიმულაციურ / საფანტომო ცენტრებში სასწავლო კურსის განმავლობაში უნდა იყოს:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 1 სიმულატორი/ფანტომი/მანეკენი - არაუმეტეს 2 სტუდენტზე ერთდროულად, 1 საკონტაქტო საათის ფარგლებში</li> </ul>  |  |  |  |   |  |  |
| <p>სასწავლო სივრცე უნდა იყოს აღჭურვილი ციფრული ტექნოლოგიებით, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთათვის სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე ვირტუალური პაციენტის კლინიკური შემთხვევის დიაგნოსტიკის/მკურნალობის დაგეგმარების და 3D კომპიუტერული მოდელების შესაძლებლობას.</p>   |  |  |  |   |  |  |
| <p>უსდმ სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე უნდა უზრუნველყოს საფანტომო კურსების ფარგლებში სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობა ზემოთაღნიშნული (ფანტომი/სტუდენტის) თანაფარდობის გათვალისწინებით უნდა არსებობდეს რესურსი და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის.</p>  |  |  |  |   |  |  |
| <p><b>კლინიკური დისციპლინები:</b></p> <p>კლინიკური დისციპლინების სწავლება ხორციელდება საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ სტომატოლოგიურ და ზოგადი პროფილის სამედიცინო (ამბულატორული და სტაციონარული სერვისის) მომწოდებელ კლინიკებში, მათ შორის აფილირებული დაწესებულებებში (ხელშეკრულების საფუძველზე). საუნივერსიტეტო და აფილირებული სასწავლო კლინიკები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო სასწავლო ფართით, კერძოდ:</p> <p>1- დანადგარიანი სტომატოლოგიური კაბინეტი - არანაკლებ 12კვ.მ- სს;</p> |  |  | <p>არსებული საუნივერსიტეტო და აფილირებული სასწავლო კლინიკები უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო ფართით.</p> | <p>მასსიათებლის გათვალისწინებით მოხდება საუნივერსიტეტო და აფილირებული სასწავლო კლინიკების შეფასება სათანადო სასწავლო ფართით დადგენილ ვადებში.</p> |  |  |

|   |  |  |  |   |  |  |
|---|--|--|--|---|--|--|
| <p>✓ დარბაზული სისტემის სტომატოლოგიური კაბინეტი - არანაკლებ 18კვ.მ (12+6 კვ.მ) ყოველ <b>2 სტომატოლოგიურ დანადგარზე გათვლით.</b></p> <p>✓ სტომატოლოგიურ დანადგარებს შორის მანძილი უნდა იყოს <b>არანაკლებ 2 მეტრისა</b></p> <p>სტუდენტთათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ელექტრონული და წიგნადი სასწავლო რესურსი.</p>   |  |  |  | <p>ცვლილება<br/>განხორციელება<br/>დადგენილ ვადებში.</p> |  |  |
| <p>საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ სტომატოლოგიურ კლინიკებში (მათ შორის, აფილირებულ დაწესებულებებში) სტომატოლოგიური სავარძლის/სტუდენტის (პაციენტი /სტუდენტის) თანაფარდობა სასწავლო კურსის განმავლობაში უნდა იყოს:</p> <p>✓ 1 სტომატოლოგიურ დანადგართან - <b>ერთდროულად, არაუმეტეს 4 სტუდენტის.</b></p>   |  |  |  |   |  |  |
| <p>საუნივერსიტეტო /სასწავლო სივრცეში არსებულ ზოგადი პროფილის სამედიცინო (ამბულატორული და სტაციონარული სერვისის) მომწოდებელ კლინიკებში, მათ შორის აფილირებული დაწესებულებებში, პაციენტი/სტუდენტის თანაფარდობა სასწავლო კურსის განმავლობაში უნდა იყოს:</p> <p>თერაპიული პროფილის დეპარტამენტებში- <b>1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის</b></p> <p>ქირურგიული პროფილის დეპარტამენტებში- <b>1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის</b></p> <p>მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტებში- <b>1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის</b></p> <p>პედიატრიის დეპარტამენტებში- <b>1 პაციენტზე არაუმეტეს 10 სტუდენტის</b></p> <p>რეანიმაციის /ინტენსიური თერაპიის დეპარტამენტებში- <b>1 პაციენტზე არაუმეტეს 6 სტუდენტის</b></p> |  |  |  |   |  |  |

|   |  |  |   |  |  |  |
|---|--|--|---|--|--|--|
| <p>საუნივერსიტეტო და აფილირებულ კლინიკასთან გაფორმებული, რეგულარულად განახლებადი ხელშეკრულება დეტალურად უნდა აღწერდეს მხარეთა უფლებებსა და ვალდებულებებს, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- ერთი აკადემიური წლის განმავლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან მისაღები სტუდენტების მაქსიმალურ რაოდენობას;</li> <li>- კლინიკურ სასწავლო კურსებს, რომლებიც ტარდება კლინიკაში და მათ ხანგრძლივობას;</li> <li>- ინფორმაციას კლინიკური მოდულების განმარტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულება/ებზე, აგრეთვე, ცხრილს/გრაფიკს კონკრეტული სასწავლო კურსის განმავლობაში დროის ერთი და იგივე მონაკვეთში სტუდენტების რაოდენობის მიღების შესაძლებლობის შესახებ.</li> </ul> |  |  | <p>გაფორმებული ხელშეკრულებები (რომელშიც გათვალისწინებულია სტუდენტთა რაოდენობა)</p>  | <p>ხელშეკრულებების განახლება, სტომატოლოგიის უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის პირობების შესაბამისად</p> |  |  |
| <p><b>საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიები:</b><br/>საკუთარი ბიბლიოთეკა, ელექტრონული სასწავლო რესურსები და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაოშეხვედრები და ფორუმების (მათ შორის - საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარების ათვის.</p>  |  |  | <p>ბსუ-ს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, ელექტრონული სასწავლო რესურსები და IT-ინფრასტრუქტურა სინქრონული და/ან ასინქრონული დისტანციური სამუშაო შეხვედრებისა და ფორუმების (მათ შორის საერთაშორისო კომუნიკაციის ფარგლებში) ჩატარებისათვის.</p> |  |  |  |

სტუდენტი ყველა სტომატოლოგიურ მანიპულაციას ატარებს დამოუკიდებლად: პლასტმასისა და ადამიანის ექსტრაგირებულ კბილებზე, ფანტომ მულაჟებზე, სიმულატორებსა და სხვა სასწავლო მოწყობილობებზე. კლინიკურ პროცედურებს კი - კურსის განმარტებულ პერსონალთან ერთად და მათი უშუალო მეთვალყურეობით და პასუხისმგებლობით.

